

სტუდენტთა და  
კურსდამთავრებულთა  
დასაქმების ხელშეწყობის  
ცენტრის დებულება

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში - სასწავლებელი) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) არის სასწავლებლის სტრუქტურული ერთეული;
2. ცენტრი ფუნქციონირებს სასწავლებლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის დებულებით და წინამდებარე დებულებით;
3. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორისა და აკადემიური საბჭოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

## **მუხლი 2. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიზნები და ამოცანები:**

ცენტრის მიზანია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა, შესაბამისად, მისი ამოცანებია:

- ა) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სამუშაო ადგილების მოძიება და, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მათი მაქსიმალური დასაქმება;
- ბ) მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ახალ უმაღლეს სასწავლებელსა და საქართველოში მოქმედ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან;
- გ) სტაჟირებებისა და პრაქტიკების ორგანიზება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- დ) პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებით;
- ე) პროფესიული ექსკურსიების მოწყობა;
- ვ) „დასაქმების ფორუმის“ პერიოდულად ორგანიზება („დასაქმების ფორუმი“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კვალიფიციური პერსონალის შესარჩევად. ფორუმის ძირითადი მიზანია სტუდენტთა შემდგომი მაქსიმალური დასაქმება და მონაწილე ორგანიზაციათა კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა);
- ზ) დამკირავებლთან შეხვედრების ორგანიზება სასწავლებელში;
- თ) დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას, სტაჟირებებისა და პრაქტიკების შესაძლებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას;
- ი) დამსაქმებლის მიერ არჩეული კადრების მიზნობრივი მომზადება შესაბამისი სასწავლო კურსებით;

### **მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა**

3.1 ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის ადმინისტრაციული ერთეულს, რომლის სტრუქტურაში შედიან: ცენტრის უფროსი, სპეციალისტი.

3.2 ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.

3.3 სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.

#### **3.4 ცენტრის უფროსი უზრუნველყოფს:**

ა) ცენტრის წლიური სამუშაო გეგმის შედგენას. წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას და ცენტრის მუშაობის კოორდინირებას.

ბ) რეგულარული ტრენინგების მოდულების შედგენას, რომლებიც ცენტრმა წლის მანძილზე უნდა შესთავაზოს სტუდენტებს. საჭიროების მიხედვით მოდულების პერიოდულ განახლებას და ახალი მოდულების შედგენას;

გ) კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე.

დ) დამსაქმებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;

ე) დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას. რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ვ) სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას;

ზ) შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს, არსებული ვაკანსიების მონიტორინგს.

თ) დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას.

ი) დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას. დასაქმების ფორუმების ორგანიზებასა და ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით;

კ) ცენტრის მუშაობის პერიოდული მონიტორინგს;

ლ) ურთიერთობის კოორდინირებას ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან, დონორებთან, ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან;

მ) დეკანატის თანამშრომლებისათვის ინფორმაციის გაზიარებას და მათთან თანამშრომლობა მოსაზრებების, რეკომენდაციების გაზიარების, გათვალისწინებისა და, შესაბამისად, ცენტრის უფრო ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით.

ნ) ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენას, აგრეთვე ნებისმიერ დროს სასწავლებლის რექტორისა და აკადემიური საბჭოს დავალებით.

#### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებები**

4.1 ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.